დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა დიხამინჯია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ანა გვრიტიშვილი, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

დავით სიხარულიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ნინო ტალიაშვილი, საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტი

თბილისი

2019

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	204393717
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18-22 (ნაკვეთი N7/29) ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. N 24.
ვებ-გვერდი	Tdasu.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	11 მაისი, 2015. გადაწყვეტილება N 10
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	11 მაისი, 2021

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	5
ბაკალავრიატი	2
მაგისტრატურა	2
ერთსაფეხურიანი	1
დოქტორანტურა	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	-
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	5
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	0
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	0
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	0

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			950
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	245	35	
ბაკალავრიატი	129	26	
მაგისტრატურა	12	7	
ერთსაფეხურიანი	104	2	
დოქტორანტურა			
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)			
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა			
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა			

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3^{48} პუნქტში

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა			

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	
- პროფესორი	
- ასოცირებული პროფესორი	
- ასისტენტ პროფესორი	
- ასისტენტი	
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	
- მეცნიერი	
- პოსტდოქტორანტი	
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	
- აფილირებული პროფესორი	
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	
- აფილირებული ასისტენტი	
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	2 901.92 კვ. მ.
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1 796.65 კვ. მ.
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1 105.27 კვ. მ.

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მიზანი იყო, შეეფასებინა, თუ რამდენად შეასრულა დაწესებულებამ 2019 წლის 8-9 თებერვალს მონიტორინგის ვიზიტის შედეგად ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები უსდ-ს საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობის მისაღწევად. მიმდინარე ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 27 სექტემბერს. ვიზიტმა ჩაიარა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად, ჩატარდა ინტერვიუები უსდ-ის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. მოხდა უსდ-ის დოკუმენტაციის შესწავლა და მატერიალური რესურსების ვიზუალური დათვალიერება.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☒ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: _____9/02/2019_____

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
სტანდარტი 1. კომუნიკაციის გაუმჯობესება საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან, მისიის გაცნობა, მისი გაზიარება და საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიკაცია დაინტერესებული მხარეების უშუალო ჩართულობით. ✓ თდასუ-ს მიზნების დაკონკრეტება/დაზუსტება დაწესებულების რეალური საქმიანობიდან გამომდინარე; ✓ თდასუ-ში არსებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის იმპლემენტაცია; ✓ საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის სტრატეგიული განვითარების გეგმის გაცნობა; ✓ საჭიროების შემთხვევაში, სტრატეგიული განვითარების გეგმის მოდიფიკაცია დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით; ✓ სამოქმედო გეგმაში ცალკეული აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური რესურსების მითითება;	სტანდარტი 1-ის შესაბამისი რეკომენდაციები ნაწილობრივ გათვალისწინებული იქნა უსდ-ს მიერ, თუმცა რჩება გასაუმჯობესებელი მხარეები: • საუნივერსიტეტო საზოგადოება უნდა ჩაერთოს უნივერსიტეტის მისიის შემუშავებაში, რომელიც უნდა ასახავდეს უნივერსიტეტის პროფილს და მის მახასიათებლებს; • უნივერსიტეტმა უნდა გააუმჯობესოს კომუნიკაცია საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან, დაეხმაროს მისიის სრულად გააზრებაში. • დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს თდასუ-ს მიზნები დაწესებულების რეალური საქმიანობიდან გამომდინარე; • რეკომენდირებულია თდასუ-ში არსებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის იმპლემენტაცია; • რეკომენდირებულია საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის სტრატეგიული განვითარების გეგმის გაცნობა;

	• დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, 3 წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მისაღწევი შედეგების ვადები და შესრულების გაზომვადი ინდიკატორები.
სტანდარტი 2. ✓ გადაიხედოს უსდ-ს სტრატეგიული გეგმა და მისი მონიტორინგის მექანიზმი დღეს არსებული მდგომარეობის და ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად; ✓ მოხდეს უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა; ✓ გადაიხედოს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად; ✓ შემუშავდეს და დაინერგოს ხარისხის შეფასების ვალიდური ინსტრუმენტები; ✓ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩაერთოს ყველა დაინეტრესებული მხარე; ✓ გადაიხედოს სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია, მისი შემუშავების და იმპლემენტაციის პროცესში უზრუნველყოფილ იქნას ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა; ✓ თდასუ-მ უზრუნველყოს ბიზნეს პროცესების უწყვეტობის ეფექტიანი გეგმის შემუშავება და იმპლემენტაცია; ✓ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩართოს ყველა დაინტერესებული მხარე; ✓ თდასუ-მ უზრუნველყოს ეთიკის სტანდარტის ეფექტიანი იმპლემენტაცია; ✓ მოხდეს სტუდენტების ინფორმირება, მათი ცნობიერების ამაღლება აკადემიური თავისუფლების პრინციპის შესახებ;	მეორე სტანდარტის შესაბამისი რეკომენდაციები ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული, მაგრამ რჩება გასაუმჯობესებელი შემდეგი მხარეები: • გაიმიჯნოს რექტორის და აკადემიური საბჭოს ფუნქციები; • აკადემიური საბჭო გახდეს ქმედითი და გადაწყვეტილების მიმღები ორგანო; • აკადემიური საბჭოს წევრებისთვის მოხდეს შესაბამის პროცედურულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება, ასევე საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცნობა; • გადაიხედოს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და გახდეს ქმედითი; • გაიმიჯნოს სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა ფუნქციები, კერძოდ, ბიბლიოთეკის მენეჯერის მიერ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის შეთავსების კუთხით; • ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა გახდეს ეფექტიანი. • რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის ზუსტი, სწორი და სრულყოფილი მექანიზმების შემუშავება და იმპლემენტაცია. • თდასუ-მ შეიმუშავოს ეთიკის სტანდარტის დაცვის მოქმედი მექანიზმები; • მოხდეს სტუდენტების ინფორმირება, მათი ცნობიერების ამაღლება აკადემიური თავისუფლების პრინციპის შესახებ.
სტანდარტი 3. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, პროგრამებში ცვლილების განხორციელებისა და განახლების პროცესში სტუდენტების, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების აქტიური ჩართულობა; ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირება პროგრამაში ცვლილების „კანონმდებლობით დაშვებული შესაძლებობების“ შესახებ;	სტანდარტი 3-ის შესაბამისი რეკომენდაციები მეტწილად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ. რჩება რეკომენდაცია შემდეგი მიმართულებით: • რეკომენდირებულია გაძლიერდეს, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების ჩართულობის გაძლიერება პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში; • რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამებში მოხდეს სწავლის შედეგების

✓ პროფესიულ გაერთიანებებთან მემორანდუმების გაფორმება, თანამშრომლობის დამყარება და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში; ✓ დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობა; ✓ პროგრამით გათვალისწინებული სწავლების მეთოდების იმპლემენტაცია; ✓ სასწავლო პროგრამებში სახელმძღვანელოების განახლება; ✓ საგანმანათლებლო პროგრამების მეტი საჯაროობის უზრუნველყოფა - ვებ-გვერდზე განთავსდეს ყველა საგანმანათლებლო პროგრამა; ✓ სტომატოლოგიის პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება; ✓ პროგრამასა და მემორანდუმებში დაზუსტდეს სტუდენტების სამედიცინო ბაზებზე პრაქტიკული მუშაობის შინაარსი, მიეთითოს კონკრეტული ვალდებულებები და უფლებები და მოხდეს მათი იმპლემენტაცია. ✓ შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა; ✓ შეფასების გასაჩივრების ეფექტური სისტემის შემუშავება და ამოქმედება; ✓ სწავლის შედეგების შესაბამისი შეფასების მეთოდების დანერგვა; ✓ სტუდენტთა შეფასებების, მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდა.	მიღწევის მექანიზმის გაუმჯობესება სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით.
სტანდარტი 4: ✓ ფაკულტეტის საბჭოში წევრების არჩევის პროცედურის შემუშავება და ამოქმედება; ✓ პერსონალის პროფესიული განვითარების სტრატეგიის - პერსონალის მართვის პოლიტიკის მიზანმიმართული და თანმიმდევრული იმპლემენტაცია; ✓ „ადმინისტრაციულ თანამდებობაზე თანამშრომელთა შერჩევისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის წესის“ მიზანმიმართული და თანმიმდევრული იმპლემენტაცია; ✓ სპეციალური პროცედურის შემუშავება და დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების სწრაფ და ეფექტიან ჩართვას სამუშაო პროცესში; ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სრულყოფილი და მუდმივი მონიტორინგი; ✓ აკადემიური პერსონალის აფილირების საკანონმდებლო მოთხოვნის დროულად და ჯეროვნად შესრულება;	სტანდარტი 4 • ფაკულტეტის საბჭოში წევრების არჩევის პროცედურა შემუშავდა, მაგრამ დაინტერესებული პირები (საბჭოს წევრები) არ არიან ინფორმირებული არჩევის წესზე. რჩება გასაუმჯობესებელი მხარე. • „ადმინისტრაციულ თანამდებობაზე თანამშრომელთა შერჩევისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის წესის“ მიზანმიმართული და თანმიმდევრული იმპლემენტაცია - წესი შემუშავებულია, მაგრამ არ არსებობს წინასწარ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. რჩება გასაუმჯობესებელი მხარე. • პერსონალის პროფესიული განვითარების სტრატეგიის - პერსონალის მართვის პოლიტიკის მიზანმიმართული და თანმიმდევრული იმპლემენტაცია - შემუშავდა დოკუმენტი, რომელიც არ არის მორგებული დაწესებულების საჭიროებებზე. რჩება გასაუმჯობესებელი მხარე.

	• სპეციალური პროცედურის შემუშავება და დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების სწრაფ და ეფექტიან ჩართვას სამუშაო პროცესში- გაწერილი რეგულაცია არ არსებობს, ადამიანური რესურსების სამსახურის ხელმძღვანელს ჰქონდა ინფორმაცია, თუ როგორ ხდება ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია. - გასაუმჯობესებელი მხარე დარჩა. • აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სრულყოფილი და მუდმივი მონიტორინგი - სრულყოფილად ვერ მოხდა დატვირთვების წარმოდგენა. გასაუმჯობესებელი მხარე დარჩა. • აკადემიური პერსონალის აფილირების საკანონმდებლო მოთხოვნის დროულად და ჯეროვნად შესრულება - აფილირების წესი შემუშავებულია, განსხვავება აფილირებულ და აკადემიურ პერსონალს შორის არ დგინდება. გასაუმჯობესებელი მხარე დარჩა. • აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის პროცესში სტუდენტთა არსებული და მისაღები კონტიგენტის, პროგრამის სპეციფიკის და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება - რეგულაცია შემუშავებულია, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინების ფაქტი არ იკვეთება. გასაუმჯობესებელი მხარე დარჩა.
სტანდარტი 5 ✓ დაწესებულების მიერ შემუშავებული სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის შესახებ დოკუმენტის გაცნობა სტუდენტებისათვის. ✓ სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, თდასუ-მ გაატაროს შესაბამისი ზომები - გამოყოს კონკრეტული პირი, რომელიც უზრუნველყოფს დამსაქმებელთა ბაზის შექმნას, მათთან კომუნიკაციას და სტუდენტებისათვის აღნიშნული ინფორმაციის დროულ და ეფექტიან მიწოდებას; ✓ საერთაშორისო პროფილის გაძლიერების მიზნით თდასუ-მ უზრუნველყოს გაცვლითი პროგრამების ამოქმედება, რაც თავად დაწესებულებას მისიაშიც აღნიშნული აქვს; ✓ თდასუ-მ გაითვალისწინოს სტუდენტების პოზიცია როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული საქმიანობის გაუმჯობესების პროცესში, აგრეთვე უზრუნველყოს უკუკავშირი	სტანდარტი 5-ის შესაბამისი რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა ნაწილობრივ, დოკუმენტების შემუშავებისა და გაცნობის კუთხით. რჩება გასაუმჯობესებელი მხარეები. ○ რეკომენდირებულია სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის მიერ შეთავაზებული ვაკანსიები მეტ-ნაკლებად შეესაბამებოდეს სტუდენტთა კვალიფიკაციას; ○ კვლავ რეკომენდირებულია დაწესებულებამ აამოქმედოს გაცვლითი პროგრამები და უზრუნველყოს სტუდენტების ჩართულობა.

სტუდენტებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გატარებული ზომების შესახებ;	
სტანდარტი 6: სწავლების, კვლევისა და ეკონომიკის ინტეგრირების მიზნით გაიზარდოს თდასუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების ეფექტიანობა; ✓ თდასუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმინობა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ კონფერენციების ორგანიზებით და მათი მასალების დაბეჭდვით, არამედ აკადემიურმა პერსონალმა თავისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები გამოაქვეყნოს ქართულ და უცხოურ რეფერირებად სამეცნიერო-კვლევით კრებულებში; ✓ შემუშავდეს და დაინერგოს სამეცნიერო კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურა; ✓ თდასუ-მ შეიმუშავოს და დანერგოს სამეცნიერო კვლევების მხარდამჭერი ღონისძიებების/კონსულტირების სისტემა; ✓ მოხდეს პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემის ამოქმედება; ✓ პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნას თდასუ-ს საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.	მე-6 სტანდარტის რეკომენდაციები ძირითადად რჩება გასაუმჯობესებელი: • გაიზარდოს თდასუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების ეფექტიანობა კონკრეტულ პრიორიტეტებზე დაყრდნობით; • თდასუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმინობა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ კონფერენციების ორგანიზებით და მათი მასალების დაბეჭდვით, არამედ აკადემიურმა პერსონალმა თავისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები გამოაქვეყნოს ქართულ და უცხოურ რეფერირებად სამეცნიერო-კვლევით კრებულებში. • უსდ-მ შეიმუშავოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წახალისების გამჭვირვალე და ეფექტური მექანიზმები და გააცნოს ის აკადემიურ პერსონალს • აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა შეიცვალოს ისე, რომ ითვალისწინებდეს კვლევების რაოდენობრივ და ხარისხობრივი შეფასების ინდიკატორება; • აკადემიურ პერსონალს მიეწოდოს დეტალური ინფორმაცია სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემის შესახებ
სტანდარტი 7. ✓ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N18-22 მისამართზე მდებარე შენობის შესაბამისობაში მოყვანა ავტორიზაციის სტანდარტთან, რათა შესაძლებელი გახდეს აღნიშნული შენობის გამოყენება საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიზნებისთვის; ✓ თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. N24 მისამართზე მდებარე შენობაში მეექვსე და მეშვიდე სართულების საევაკუაციო რკინის კარის შეცვლა ხის მასალისგან დამზადებული კარით, ხოლო თავად შენობის საევაკუაციო გასასვლელი შესაბამისობაში მოვიდეს ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ უსაფრთხოების მოთხოვნებთან; ✓ რუსთავის გზატკეცილი N18-22 მისამართზე მდებარე შენობიდან იმ სახელმძღვანელოების გადმოტანა და სულხან ცინცაძის ქ. N24 მისამართზე მდებარე შენობაში არსებულ ბიბლიოთეკაში განთავსება, რომლებიც სტატისტიკურად მოთხოვნადია როგორც სტუდენტების, ასევე პერსონალის მიერ, რაც ხელს შეუწყობს, წიგნადი ფონდის ხელმისაწვდომობის ზრდას;	მე-7 სტანდარტის რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა ელექტრონული რესურსების კუთხით. მატერიალურ და ფინანსურ რესურსებთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციები რჩება იგივე. კომპონენტი 7.1. ✓ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N18-22 მისამართზე მდებარე შენობის შესაბამისობაში მოყვანა ავტორიზაციის სტანდარტთან, რათა შესაძლებელი გახდეს აღნიშნული შენობის გამოყენება საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიზნებისთვის - არ არის შესაბამისობაში მოყვანილი, მიმდინარეობს შენობის გარემონტება. ✓ თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. N24 მისამართზე მდებარე შენობაში მეექვსე და მეშვიდე სართულების საევაკუაციო რკინის კარის შეცვლა ხის მასალისგან დამზადებული კარით, ხოლო თავად შენობის საევაკუაციო გასასვლელი შესაბამისობაში მოვიდეს ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ

✓ ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსების აქტიური გამოყენების უზრუნველყოფა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ; ✓ ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება ინგლისურ ენაზე; ✓ აკადემიური პერსონალის შესახებ ინფორმაცის სრულყოფა (პედაგოგების და სამეცნიერო პერსონალის პროფილი, საკონტაქტო ინფორმაცია); ✓ ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულებზე პასუხისმგებელი პერსონალის შესახებ ინფორმაციის განთავსება; ✓ თდასუ-ში საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვა; ✓ თდასუ-ის ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალიწინებული იქნას საგანმანათლებლო პროგრამებიდან მიღებული ფაქტობრივი შემოსავლები, დაფიქსირდეს არსებული დეფიციტის შესავსებად საჭირო დივერსიფიცირებული წყაროები, დაგეგმილი ხარჯების განხორციელების მდგრადობის განსაზღვრის მიზნით; ✓ მატერიალურ ფასეულეობებს (კომპიუტერული ტექნიკა, საოფისე ავეჯი და სხვა) მიენიჭოს შტრიხკოდები კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად; ✓ დაინიშნონ მატერიალურ ფასეულობების მოვლა/შენახვაზე პასუხიმგებელი პირები.	უსაფრთხოების მოთხოვნებთან - რკინის კარის მოიხსნა და საევაკუაციო გასასვლელი არსებობს. 7.2. ✓ რუსთავის გზატკეცილი N18-22 მისამართზე მდებარე შენობიდან იმ სახელმძღვანელოების გადმოტანა და სულხან ცინცაძის ქ. N24 მისამართზე მდებარე შენობაში არსებულ ბიბლიოთეკაში განთავსება, რომლებიც სტატისტიკურად მოთხოვნადია როგორც სტუდენტების, ასევე პერსონალის მიერ, რაც ხელს შეუწყობს, წიგნადი ფონდის ხელმისაწვდომობის ზრდას - გადამოწმდა ლიტერატურა შერჩევითი პრინციპით და ადგილზე იყო. ✓ ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსების აქტიური გამოყენების უზრუნველყოფა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ - არ არის უზრუნველყოფილია. გასაუმჯობესებელი მხარე დარჩა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

სტანდარტი 1:

- საუნივერსიტეტო საზოგადოება უნდა ჩაერთოს უნივერსიტეტის მისიის შემუშავებაში, რომელიც უნდა ასახავდეს უნივერსიტეტის პროფილს და მის მახასიათებლებს;
- უნივერსიტეტმა უნდა გაუმჯობესოს კომუნიკაცია საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან, დაეხმაროს მისიის სრულად გააზრებაში.
- დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს თდასუ-ს მიზნები დაწესებულების რეალური საქმიანობიდან გამომდინარე;
- რეკომენდირებულია თდასუ-ში არსებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის იმპლემენტაცია;
- რეკომენდირებულია საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის სტრატეგიული განვითარების გეგმის გაცნობა;
- დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, 3 წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მისაღწევი შედეგების ვადები და შესრულების გაზომვადი ინდიკატორები.

სტანდარტი 2:

- გაიმიჯნოს რექტორის და აკადემიური საბჭოს ფუნქციები;
- აკადემიური საბჭო გახდეს ქმედითი და გადაწყვეტილების მიმღები ორგანო;
- აკადემიური საბჭოს წევრებისთვის მოხდეს შესაბამის პროცედურულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება, ასევე საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცნობა;
- გადაიხედოს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და გახდეს ქმედითი;
- გაიმიჯნოს სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა ფუნქციები, კერძოდ, ბიბლიოთეკის მენეჯერის მიერ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის შეთავსების კუთხით;
- ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა გახდეს ეფექტიანი.
- რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის ზუსტი, სწორი და სრულყოფილი მექანიზმების შემუშავება და იმპლემენტაცია.
- თდასუ-მ შეიმუშავოს ეთიკის სტანდარტის დაცვის მოქმედი მექანიზმები;
- მოხდეს სტუდენტების ინფორმირება, მათი ცნობიერების ამაღლება აკადემიური თავისუფლების პრინციპის შესახებ.

სტანდარტი 3:

- რეკომენდირებულია გაძლიერდეს, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების ჩართულობის გაძლიერება პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში;
- რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამებში მოხდეს სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმის გაუმჯობესება სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით.

სტანდარტი 4:

- შემუშავდეს ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- შემუშავდეს პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი;
- შემუშავდეს აკადემიური პერსონალის შეფასების (კონკურსის დროს) გამჭვირვალე კრიტერიუმები;
- შემუშავდეს ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის გამჭვირვალე კრიტერიუმები;
- შემუშავდეს პერსონალის წახალისების მექანიზმი;
- შემუშავდეს ახალი თანამშრომლის სამუშაო პროცესში ინტეგრაციის ეფექტიანი მექანიზმი;
- შრომის ხელშეკრულებები გაფორმდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით;
- დადგინდეს განსხვავება აფილირებულ და აკადემიურ პერსონალს შორის;
- შემუშავდეს სასწავლო უნივერსიტეტის საჭიროებებზე მორგებული პერსონალის მართვის პოლიტიკა.
- შემუშავდეს ეფექტიანი მექანიზმი აკადემიური/მოწვეული პერსონალის სხვა უსდ-ებში დატვირთვის მონიტორინგის შესახებ.

სტანდარტი 5:

- რეკომენდირებულია სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის მიერ შეთავაზებული ვაკანსიები მეტ-ნაკლებად შეესაბამებოდეს სტუდენტთა კვალიფიკაციას;
- კვლავ რეკომენდირებულია დაწესებულებამ აამოქმედოს გაცვილითი პროგრამები და უზრუნველყოს სტუდენტების ჩართულობა.

სტანდარტი 6:

- გაიზარდოს თდასუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების ეფექტიანობა კონკრეტულ პრიორიტეტებზე დაყრდნობით;
- თდასუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმინობა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ კონფერენციების ორგანიზებით და მათი მასალების დაბეჭდვით, არამედ აკადემიურმა პერსონალმა თავისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები გამოაქვეყნოს ქართულ და უცხოურ რეფერირებად სამეცნიერო-კვლევით კრებულებში.
- უსდ-მ შეიმუშავოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წახალისების გამჭვირვალე და ეფექტური მექანიზმები და გააცნოს ის აკადემიურ პერსონალს
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა შეიცვალოს ისე, რომ ითვალისწინებდეს კვლევების რაოდენობრივ და ხარისხობრივი შეფასების ინდიკატორება;
- აკადემიურ პერსონალს მიეწოდოს დეტალური ინფორმაცია სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემის შესახებ

სტანდარტი 7:

- რუსთავის გზატკეცილზე განთავსებული შენობა მოვიდეს შესაბამისობაში მატერიალური რესურსის სტანდართან: შენობაში უნდა მოეწყოს სსსმ პირებისთვის ადაპტირებული სველი წერტილი, მოწესრიგდეს სართულიდან სართულზე გადაადგილების საკითხი, ვინაიდან პანდუსის დახრილობის გამო ჩამოსვლის დროს შესაძლებელია პირს მიადგეს ზიანი, სათანადოდ აღიჭურვოს ადმინისტრაციული ერთეულები, მოეწყოს სამედიცინო კაბინეტი, სტუდენტური სივრცეები ჯგუფური მუშაობისთვის, საპროფესორო, აუდიტორიები/ლაბორატორიები აღიჭურვოს სათანადო ინვენტარით. არქივისთვის გამოიყოს ფართი.
- სულხან ცინცაძეზე განთავსებულ შენობაში განხორციელდეს კაბინეტების/ლაბორატორიების კონდიცირება/ვენტილაცია;
- მოეწყოს სტუდენტური სივრცეები, საკონფერენციო დარბაზი.
- ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსების აქტიური გამოყენების უზრუნველყოფა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ.
- რეკომენდირებულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის აქტივობების შესაბამისად გაიწეროს დაგეგმილი ფინანსების დინამიკა წლების მიხედვით.

რჩევები

- სასურველია შრომის ბაზრის კვლევის ჩატარდეს იმ მეთოდებით, რომელიც უზრუნველყოს კვლევის შედეგების სანდოობას;
- ასურველია ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამებში მოხდეს ლიტერატურის განახლება.

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☒	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☒	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☒	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☒
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☐	☒	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☐	☒	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☒	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☐	☐	☐	☒
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☐	☒
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☒	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☒	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☐	☒	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☒	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☒	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☒	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☒	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☐	☒
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☒	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ნანა დიხამინჯია (თავმჯდომარე)
2. ნინო ტალიაშვილი (წევრი)
3. დავით სიხარულიძე (წევრი)
4. ანა გვრიტიშვილი (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში: თდასუ) ხედვა, მისია, მიზნები, ამოცანები, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა (2018-2024 წწ.) და სამწლიანი სამოქმედო გეგმა (2018-2021) დამტკიცებულია რექტორის 2017 წლის 30 დეკემბრის N 076/01 ბრძანებით. განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ დამტკიცებული მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი უნივერსიტეტში განხორციელდა 2019 წლის 8 და 9 თებერვალს. მონიტორინგის ექსპერტების დასკვნის საფუძველზე, აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმით #2; 22.04.2019.წ. და რექტორის ბრძანებით #068/01/5,. 24.04.2019, ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით, დაზუსტდა სასწავლო უნივერსიტეტის მიზნები, მოხდა საკითხების დაკონკრეტება და გაწერა, განხორციელდა სტრატეგიული განვითარების მოკლევადიანი სამწლიანი და გრძელვადიანი შვიდწლიანი გეგმის მოდიფიკაცია. უნივერსიტეტის მისიაში განსაზღვრულია თდასუ-ს როლი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე („სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა სასწავლო და სამეცნიერო სივრცეში საგანმანათლებლო საქმიანობა; უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობა; სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაცია“); თდასუ-ს მისია ითვალისწინებს უმაღლესი განათლების როლს დემოკრატიული საზოგადოების აქტიური წევრების მომზადებაში, ცოდნის შექმნასა და გაზიარებაში, სტუდენტების პიროვნული განვითარების ხელშეწყობასა შრომის ბაზარზე კონკურენტურუნარიანობის უზრუნველყოფაში („მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების, ეროვნული ცნობიერებისა და ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრება, ახალგაზრდა მაღალკვალიფიცირებული პროფესიონალი კადრების მომზადება;“); თდასუ-ს მისია არის ზოგადი და ნაკლებად განსაზღვრავს მის მახასიათებლებს მისი სახისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების (პროფილი) მიხედვით. ინსტიტუციის მისია ითვალისწინებს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციას („უცხო ქვეყნის მოქალაქეების ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია; უცხოელი და ადგილობრივი სტუდენტების დაახლობა, სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაცია.“), თუმცა უნივერსიტეტში სწავლობს მხოლოდ 6 უცხო ქვეყნის მოქალაქე, ხოლო ინტერნაციონალიზაცია შემოიფარგლება უკრაინულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტთა რეკომენდაციებზე დაყრდნობით, უნივერსიტეტმა შეიმუშავა ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია. ისევე როგორც 2019 წლის თებერვლის მონიტორინგის ვიზიტის დროს, მიმდინარე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტის მისია არ არის სრულად გაზიარებული საუნივერსიტეტო საზოგადოების მიერ: აკადემიური საბჭოს წევრების, აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციისა და სტუდენტების წარმომადგენლებს ზოგადი წარმოდგენა აქვთ დაწესებულების მისიაზე. მაგალითად, უნივერსიტეტის რექტორის თქმით, ინტერნაციონალიზაცია ნიშნავს უცხოელი სტუდენტების ინტეგრირებას, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ რამდენიმე უცხოელი სტუდენტი ჰყავს უნივერსიტეტს. თდასუ-ს ინსტიტუციური განვითარებისთვის და ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისი მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად, რეკომენდებულია, საუნივერსიტეტო საზოგადოებამ სრულად გაიაზროს მისიის როლი და მისი შემადგენელი კომპონენტები, და მიიღოს აქტიური მონაწილეობა მის ფორმირებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- რექტორის 2017 წლის 30 დეკემბრის N 076/01 ბრძანება „შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმის (სამწლიანი) დამტკიცების შესახებ;
- აკადემიური საბჭოს ოქმი 24.04.2019;
- რექტორის ბრძანება #068/01/5,. 24.04.2019;
- 2019 წლის თებერვალში განხორციელებული მონიტორინგის დასკვნა;
- ინტერვიუები რექტორთან, აკადემიური საბჭოს წევრებთან, ფაკულტეტის დეკანთან და მენეჯერთან, ფაკულტეტის საბჭოს წევრებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, რექტორთან, სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

- საუნივერსიტეტო საზოგადოება უნდა ჩაერთოს უნივერსიტეტის მისიის შემუშავებაში, რომელიც უნდა ასახავდეს უნივერსიტეტის პროფილს და მის მახასიათებლებს;
- უნივერსიტეტმა უნდა გააუმჯობესოს კომუნიკაცია საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან, დაეხმაროს მისიის სრულად გააზრებაში.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თდასუ-ს ხედვა, მისია, მიზნები, ამოცანები, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა (2018-2024 წწ.) და სამწლიანი სამოქმედო გეგმა (2018-2021), რომელიც დამტკიცებული იყო რექტორის 2017 წლის 30 დეკემბრის N 076/01 ბრძანებით, გარკვეულად შეიცვალა 2019 წლის მონიტორინგის ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე და შემუშავებულ იქნა ახალი შვიდწლიანი და სამწლიანი სტრატეგიული გეგმები, ისევე როგორც ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია (სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა - აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #2; 22.04. 2019.წ.; რექტორის ბრძანება #071/01/5. 30.04.2019; სტრატეგიული განვითარების 3 წლიანი გეგმა - აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #2; 22.04. 2019.წ.; რექტორის ბრძანება #071/01/5. 30.04.2019; ინტერნაციონალიზაცის სტრატეგია - აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #2; 22.04. 2019.წ.; რექტორის ბრძანება #068/01/5. 24.04.2019).

უსდ-ს მიზნებია:

ა) უმაღლესი აკადემიური განათლების სივრცეში სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი მაღალი კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება: უმაღლეს სასწავლებლების და სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციების, დამსაქმებლების, სტუდენტების და აკადემიურ პერსონალის ჩართულობით და შრომითი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ბ) სტუდენტის ინტელექტუალური, კულტურული და პიროვნული ზრდისათვის, მაღალი ხარისხის განათლების მიღება და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;

გ) სტუდენტთა არჩევანის თავისუფლება და მისცეს მათ შესაძლებლობა იქცეს სწავლასწავლების პროცესის მთავარ სუბიექტად;

დ) ღია კონკურენციისა და თანაბარი შესაძლებლობების პრინციპებზე დაყრდნობით თითოეულ სტუდენტის სოციალური წარმატებისა და თვითრეალიზაციისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარება;

ე) სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა და ინტერნაციონალიზაცია;

ვ) ხელი შეუწყოს ეთნიკურად მრავალეროვანი საზოგადოების ინტეგრირებას;

ზ) შეზღუდული შესაძლებლობების სტუდენთა სწავლის პირობების სრულყოფა და ინფრასტრუქტურის მოწყობა;

თ) სიცოცხლის მანძილზე უწყვეტი სწავლების პრინციპის დანერგვა და განხორციელება;

ი) კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა და შრომითი ბაზრის მოთხოვნებზე ადაპტირება.

მოცემული შესწორებების შემდეგ, უსდ-ს მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას და მათი მიღწევა შესაძლებელია უსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის ფარგლებში, თუმცა სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს ამ მიზნებს. ასევე აღსანიშნავია, რომ უსდ-ში ამჟამად არსებული მატერიალური რესურსები და უსდ-ს ბიუჯეტი არ არის საკმარისი მოცემული მიზნების მისაღწევად.

არ არის ჩამოყალიბებული მკაფიო გეგმა ამ მიზნების მისაღწევად. უსდ-ს დამტკიცებული აქვს სამწლიანი სტრატეგიული გეგმა, და არა სამოქმედო გეგმა. სამწლიანი სტრატეგიული გეგმა ასევე არის ზოგადი, არ არის განსაზღვრული მკაფიო ვადები. შესრულების ინდიკატორები არის მითითებული ზოგადად და არ არის გაზომვადი. მაგალითად, უსდ პირველი მიზნის „კომფორტული გარემოს შექმნა სწავლისა და სწავლებისთვის“ მისაღწევად საჭირო კომპონენტების შესრულების ვადები არის „მიმდინარე პროცესი“, „ყოველწლიურად“ და ა.შ. ვინაიდან შესრულების ინდიკატორები არის ზოგადი, უსდ-თვის რთულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის განხორციელება.

თდასუ-ს რექტორის 2017 წლის 30 დეკემბრის N 075/01/1 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნულ პროცესში სასწავლო უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურისა და აკადემიური საზოგადოების წევრთა მონაწილეობას. ინტერვიუების შედეგად ვერ დადასტურდა აღნიშნულ პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. რესპოდენტთან დიდი ნაწილი, მათ შორის აკადემიური საბჭოს წევრები, აღნიშნავდნენ, რომ საკადრო ცვლილებების გამო, ცოტა ხნის წინ შემოუერთდნენ უნივერსიტეტს და არ იცნობენ კარგად სტრატეგიული განვითარების გეგმას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- რექტორის 2017 წლის 30 დეკემბრის N 076/01 ბრძანება „შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმის (სამწლიანი) დამტკიცების შესახებ;
- აკადემიური საბჭოს ოქმი 24.04.2019;
- რექტორის ბრძანება #068/01/5,. 24.04.2019;
- 2019 წლის თებერვალში განხორციელებული მონიტორინგის დასკვნა;
- ინტერვიუები რექტორთან, აკადემიური საბჭოს წევრებთან, ფაკულტეტის დეკანთან და მენეჯერთან, ფაკულტეტის საბჭოს წევრებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, რექტორთან, სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

- კვლავ რეკომენდირებულია თდასუ-ს მიზნების დაკონკრეტება/დაზუსტება დაწესებულების რეალური საქმიანობიდან გამომდინარე;
- კვლავ რეკომენდირებულია თდასუ-ში არსებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის იმპლემენტაცია;
- კვლავ რეკომენდირებულია საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის სტრატეგიული განვითარების გეგმის გაცნობა;

• დაინტერესებული მხარეები ჩართულობით, 3 წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მისაღწევი შედეგების ვადები და შესრულების გაზომვადი ინდიკატორები.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: შპს - თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) სტრუქტურა მოცემულია უნივერსიტეტის წესდებაში. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აკადემიური საბჭო. აკადემიური საბჭოს საქმიანობა რეგულირდება დებულებით. ამავე დებულების თანახმად, იგი განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტის მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების ძირითად მიმართულებებს, ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, ხარისხის განვითარების უზრუნველყოფას, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობას, სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების ინტეგრირებას, ერთობლივი სწავლების, სამეცნიერო - კვლევების პროგრამების შექმნას. დებულების თანახმად აკადემიური საბჭო შედგება აკადემიური პერსონალისგან. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იყო აკადემიური საბჭოს სამუშაო აღწერილობაც, რომლის თანახმადაც საბჭოს შემადგენლობაში შედიან: აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე - რექტორი, პრორექტორი სასწავლო დარგში, პრორექტორი საზოგადოებასთან და საზღვარგარეთთან ურთიერთობის საკითხებში, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი, პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო ფაკულტეტებიდან თითოეული წარმომადგენელი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სასწავლო უნივერსიტეტს სტრუქტურაში არ არსებობს ისეთი პოზიციები, როგორიცაა: პრორექტორი სასწავლო დარგში, პრორექტორი საზოგადოებასთან და საზღვარგარეთთან ურთიერთობის საკითხებში, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო ფაკულტეტი. ამდენად, წარმოდგენილ დოკუმენტებში აკადემიური საბჭოს შემადგენლობის საკითხთან მიმართებით გამოიკვეთა უზუსტობები.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ დაწესებულებას არ ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ამასთან, აკადემიური საბჭოს ფუნქციებსა და რექტორის ფუნქციებში არსებობს გარკვეული გადაფარვა, კერძოდ: აკადემიური საბჭოს დებულების 4.2.1. პუნქტის თანახმად აკადემიური საბჭო განიხილავს და ამტკიცებს სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების მოკლევადიან (სამწლიან) და გრძელვადიან (შვიდწლიან) სტრატეგიულ გეგმას; სასწავლო უნივერსიტეტის მართვის სტრუქტურას, მასში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებს. უნივერსიტეტის წესდების 8.9 პუნქტის შესაბამისად რექტორი ამტკიცებს სტრუქტურას, სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების გრძელვადიან შვიდწლიან და მოკლევადიან სამწლიან სამოქმედო გეგმებს. ანალოგიურად დუბლირებულია მათი ფუნქციები ბიუჯეტის დამტკიცებასთან და სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცების საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, აკადემიური საბჭოს სამუშაო აღწერილობაში, რომელიც წარმოდგენილი აქვს სასწავლო უნივერსიტეტს მითითებულია, რომ აკადემიური საბჭო განიხილავს და ამტკიცებს სასწავლო კორპუსში სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ მიმდინარე საკითხებს. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მითითებული კორპუსებიდან არცერთი არ მდებარეობს საქობოში. აღნიშნული ჩანაწერი გაურკვევლობას იწვევს. ფუნქციების დუბლირება და ის ფაქტი რომ ფუნქციები არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული დაწესებულების ეფექტურ საქმიანობას ეჭვქვეშ აყენებს. ამასთან, მონიტორინგის შედეგად დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია განეხორციელებინა ხელმძღვანელობის/მართვის ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა, რაც არ არის მიღწეული.

ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები, როგორც რექტორთან, ასევე აკადემიურ საბჭოსთან. სასწავლო უნივერსიტეტის წესდების თანახმად, რექტორი ინიშნება უვადოდ დამფუძნებლის მიერ. აღნიშნულთან დაკავშირებით აკადემიური საბჭოს წარმომადგენლებს არ ჰქონდათ ინფორმაცია ან რექტორის დანიშვნასთან დაკავშირებულ საკითხს თითოეული მათგანი განსხვავებულად განმარტავდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს დროს აკადემიური საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ მათ დააფინანსეს ერთ-ერთი ადმინისტრაციული პერსონალის წიგნი. ექსპერტთა ჯგუფის შეკითხვაზე, თუ რა პრინციპით მოხდა დაფინანსება და ვინ იყო დაფინანსების მიღებაზე უფლებამოსილების მქონე სუბიექტი ექსპერტებმა პასუხი ვერ მიიღეს. აკადემიური საბჭოს წევრების განმარტებით აკადემიური საბჭო ახლადშექმნილი იყო და შესაბამისად ისინი ჯერ ვერ ერკვეოდნენ კარგად პროცედურულ საკითხებში. შესაბამისად აღნიშნული სტრუქტურული ერთეული ეფექტურად და კოორდინირებულად ვერ ახორციელებდა ფუნქციებს. .

ინტერვიუები ჩატარდა სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთანაც. ინტერვიუს შედეგად გამოირკვა, რომ ბიბლიოთეკის მენეჯერი მატერიალურ რესურსებზე პასუხისმგებელი პირია, რომელიც ამავდროულად ითავსებს შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობას. სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მისი სამსახურის ფუნქციაა ლოგისტიკური საკითხების გადაწყვეტა, თუმცა სამუშაოს აღწერილობაში წერია, რომ აღნიშნული სამსახურის მენეჯერის ფუნქციებია: 1. სასწავლო უნივერსიტეტის უწყვეტი განვითარების ორგანიზება და ხელშეწყობა; საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფა; 3. სასწავლო-სამეცნიერო პროცესების, დაგეგმილი ან განხორციელებული ღონისძიებების საჯაროობისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სხვა.

ფინანსურ საკითხებზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუს დროს ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაადგინა, თუ როგორი იყო დინამიკა ბოლო პერიოდში შემოსავლებთან მიმართებით. ფინანსურმა მენეჯერმა აღნიშნა, რომ იგი რამდენიმე ადგილზე იყო დასაქმებული და ნამდვილად არ ახსოვდა ციფრები, ბოლო პერიოდში შემოსავალი რამდენით გაიზარდა. მანვე აღნიშნა, რომ ბოლო ორი წელია სასწავლო უნივერსიტეტი მოგებაზე არ გასულა.

სასწავლო უნივერსიტეტმა წარმოადგინა ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა, რომელშიც რიგ შემთხვევაში კონკრეტული აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელ პირად მითითებულია სტრუქტურაში არ არსებული პოზიცია: მაგალითად: ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი, სერვისების განვითარებისა და კომუნიკაციის სამსახურის უფროსი. ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოება,რომ გეგმაში ადმინისტრაციული პერსონალის მიერ სამუშაოს გაცდენა შეფასებულია მაღალი რისკის მქონედ. შესაბამისი ქმედება, რაც დაწესებულებამ უნდა განახორციელოს არის დროებითი ჩანაცვლება/ვაკანსიის გამოცხადება. დროებითი ჩანაცვლება იმ ფონზე, როდესაც სტრუქტურული ერთეულების დიდ ნაწილში მხოლოდ ერთი პირია დასაქმებული შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ინტერნაციონალიზაციის კუთხით დასახული მიზნების მიღწევა ეჭვქვეშ დგება შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის არ არსებობის პირობებში, მით

უფრო როდესაც გასაუბრის დროსაც არ გამოიკვეთა ინტერნაციონალიზაციის კუთხით კონკრეტული მიმართულებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო უნივერსიტეტის წესდება;
- აკადემიური საბჭოს დებულება;
- აკადემიური საბჭოს სამუშაო აღწერილობა;
- სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის მენეჯერის სამუშაოს აღწერილობა;
- ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა;

რეკომენდაციები:

- გაიმიჯნოს რექტორის და აკადემიური საბჭოს ფუნქციები;
- აკადემიური საბჭო გახდეს ქმედითი და გადაწყვეტილების მიმღები ორგანო;
- აკადემიური საბჭოს წევრებისთვის მოხდეს შესაბამის პროცედურულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება, ასევე საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცნობა;
- გადაიხედოს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და გახდეს ქმედითი;
- გაიმიჯნოს სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა ფუნქციები, კერძოდ, ბიბლიოთეკის მენეჯერის მიერ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის შეთავსების კუთხით;
- ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა გახდეს ეფექტიანი.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც მეტ-ნაკლებად შესაბამისობაშია ავტორიზაციის განახლებულ სტანდარტებთან. დაწესებულება პერიოდულად ახორციელებს გამოკითხვებს სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. თუმცა, აკადემიური და მოწვეული პერსონალი არ იცნობს სტუდენტების მიერ საკუთარი სასწავლო კურსის შეფასებას. დაწესებულებამ წარმოადგინა სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, თუმცა სტუდენტებთან ინტერვიუებისას ბუნდოვანი იყო, რამდენად ხდება საკითხების გაუმჯობესება გამოკითხვების საფუძველზე. ინტერნაციონალიზაციის კუთხით დაწესებულებას განსახორციელებელი აქვს მნიშვნელოვანი ღონიშძებები. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების სია, შესაბამისად რთულია მისი შეფასება.

ასევე, ვერ მოხერხდა დადგენა, როგორ ახორციელებს დაწესებულება ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასებას. ექსპერტთა ჯგუფმა რამდენჯერმე მოითხოვა აღნიშნული პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა, რაც ნამდვილად კარგია, თუმცა არ წარმოადგენს ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმს. თავად ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამადასტურებელი დოკუმენტები საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა და რთულია გარკვეული შედეგის შეფასება. მაგ: დოკუმენტი პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება - არის ზოგადი, გაუგებარია როგორ უნდა მოხდეს სამეცნიერო აქტივობის შეფასება. დოკუმენტი დაწერილია მომავალ დროში, და საუბარია, რომ უნდა მოხდეს „ჯეროვანი კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავება". ასევე, დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასების სისტემა" მოიცავს ინფორმაციას სილაბუსის დონეზე, როგორ ხდება სტუდენტის შეფასება, თუმცა არ არის საუბარი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაზე. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის გარკვეული მექანიზმები, ისინი საჭიროებენ სრულყოფას, დაზუსტებას და პრაქტიკაში განხორციელებას.

რაც შეეხება სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვის მეთოდოლოგიასა და ბიზნეს უწყვეტობის გეგმას, დაწესებულებას შემუშავებული აქვს განახლებული დოკუმენტაცია. აღნიშნული დოკუმენტაცია ითვალისწინებს დაწესებულების რესურსებს (მატერიალურ-ტექნიკურს, ადამიანურს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, საგანმანთლებლო პროგრამის სპეციფიკასა და აქტუალობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვის მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- დაწესებულების ვებგვერდი;
- დოკუმენტი „განმარტებები ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმისა და ექსპერტთა დასკვნაში გამოთქმული მოსაზრებების შესახებ";
- ბიზნესუწყვეტობის გეგმა;
- სტუდენტებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის ზუსტი, სწორი და სრულყოფილი მექანიზმების შემუშავება და იმპლემენტაცია.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თდასუ-მ წარმოადგინა საავტორო უფლებების დაცვის, პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები. უსდ-ს ასევე აქვს უნივერსიტეტში მოქმედი ეთიკის სტანდარტი, რომელსაც იცნობს აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. თუმცა უსდ-ში სტანდარტის დაცვის მექანიზმები ბუნდოვანია და მათ არ იცნობს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, ისევე როგორც სტუდენტები. უსდ-ს შეძენილი აქვს პლაგიატის იდენტიფიკაციისათვის დამხმარე პროგრამა, მაგრამ ინტერვიუების თანახმად, ჯერ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან არ დაწყებულა ამ პროგრამის გამოყენების სწავლება. უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს, თუმცა სტუდენტები ცუდად იცნობენ მას.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და მართვის დოკუმენტებში გვხვდება სხვა უნივერსიტეტების დოკუმენტებიდან კოპირებული ინფორმაცია. მაგალითად, უსდ-ს სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის დოკუმენტის მნიშვნელოვანი ნაწილი გადმოტანილია საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის კვლევითი სტრატეგიის დოკუმენტიდან, მათ შორის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უსდ გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს SEU&SCIENCE. ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში რიგი საკითხები გადმოტანილია გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტის მსგავსი დოკუმენტიდან და დოკუმენტის ბოლო გვერდზე ვხვდებით აბრევიატურას „გთუნი“. ეს გარემოებები ეჭვს ბადებს, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას არ აქვს სრულად გააზრებული ეთიკისა და კეთილსინდისიერების დაცვის პრინციპები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიურები;
- მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუები;
- ინტერვიუს შედეგები უმაღლესი განათლების ფაკულტეტის საბჭოს წარმომადგენლებთან;
- წარმოდგენილი კითხვარები და კვლევის ანგარიშები;
- ხარისხის განვითარების მექანიზმის შესახებ დოკუმენტი;
- საავტორო უფლებების დაცვის, პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები

რეკომენდაციები:

- უსდ-მ შეიმუშავოს ეთიკის სტანდარტის დაცვის მოქმედი მექანიზმები;
- მოხდეს სტუდენტების ინფორმირება, მათი ცნობიერების ამაღლება აკადემიური თავისუფლების პრინციპის შესახებ.
- უსდ-მ გადაამოწმოს უსდ დოკუმენტაცია და ჩაასწოროს პლაგიატის ფაქტები

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
თდასუ საგანმანათლებო სპროგრამების შემუშავებისას ხელმძღვანელობს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის მიხედვით. უნივერსიტეტში მოქმედებს ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკლავრო და საგანმანათლებლო პროგრამა. სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა, სამართლის სამაგისტროს პროგრამა. დღის წესრიგის მიხედვით მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ყველა დაინტერესებულ მხარეს (სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ პერსონალს, დამსაქმებლებს). გასაუბრებისას გაირკვა, რომ იცნობდნენ პროგრამაას, თუმცა მათი ჩართულობა, განსაკუთრებით დამსაქმებლების, ზოგიერთ შემთხვევაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ძირითადად შემოიფარგლებოდა მხოლოდ პროგრამის არსებობის შესახებ ინფორმაციით. მათი ჩართულობის ხარისხი პროგრამის განვითარების, გაუმჯობესებისა და მოდიფიკაციის პროცესში სუსტია. პროგრამის შემუშავება/გაუმჯობესებისათვის უსდ-ს ჩატარებული აქვს სტუდენტების დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგად ჩამოყალიბებულია ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. ასევე განვითარების შესაძლებლობები. უსდ-ს ასევე განახორციელა შრომის ბაზრის კვლევა. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა მოცემული დოკუმენტი. დოკუმენტის ერთ-ერთი პუნქტია კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს კონტენტ ანალიზს, ანკეტურ და ექსპერტულ გამოკითხვას. თუმცა, დოკუმენტის ანალიზისას, ირკვევა, რომ მეთოდოლოგიაში არ ჩანს, კერძოდ როგორ ჩატარდა კონენტ ანალიზი, ანკეტურ გამოკითვა, რა კითხვებს მოიცავდა და როგორ წარიმართა ექსპერტული გამოკითხვა. დოკუმენტში ვკითხულობთ ,,ახალი საგანმანათლებლო პროგრამის კორექტირებისათვის სასურველია ჩატარდეს მარკეტინგული კვლევა, რომელიც მოიცავს რამდენიმე ეტაპს: - პოტენციური დამსაქმებლებისათვის ანკეტის შემუშავება; ანკეტების დაგზავნა; - მიღებული შედეგების შეგროვება და ანალიზი; - სასწავლო გეგმის კორექტირება მიღებული შედეგების შესაბამისად; - საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტული შეფასება პოტენციური დამსაქმებლების მხრიდან; - სპეციალისტების მომზადების პროცესში დამსაქმებელ ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის მოდელის შემუშავება“. მოცემული ჩანაწერის მიხედვით რთულია დავინახოთ როგორ ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევის, რომელიც შედეგების სანდოობაში აისახება. ყველა პროგრამისათვის უნივერსიტეტს დამსაქმებლებთან გაფორმებული აქვს ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი ან ხელშეკრულება რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების სასწავლო პრაქტიკის უზრუნველყოფას. სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამისათვის 10 ხელშეკრულება (ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი) არის გაფორმებული; ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამისათვის - 12; სამართლის პროგრამისათვის -11. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის კითხვაზე დამსაქმებელთათვის: დღემდე დაახლოებით რამდენმა სტუდენტმა გაიარა თქვენს ორგანიზაციაში პრაქტიკა ან და თუ არის მოცემული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების გამოცდილება - უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ ამ წესით გაფორმდა ხელშეკრულება თანამშრომლობის, მაგრამ პრაქტიკული გამოცდილება ჯერ არ ჰქონიათ. მაგალითად, ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამისათვის ერთ-ერთი ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია შპს არსი-თან ითვალისწინებს შემდეგი სახის თანამშრომლობას: მუხლი 3 - უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოცულობის და დატვირთვის პრაქტიკული და კლინიკური კომპონენტების გავლა, თავისი მატერიალურ ტექნიკური ბაზისა და პერსონალის გამოყენებით. პრაქტიკის ორგანიზებულად წარმართვისათვის გამოყოს მენტორი. რომელიც პრაქტიკის პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფს პროცესის წარმართვას და კონტროლს. სამართლის პროგრამისათვის - ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტთან არის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მიზანია სტუდენტის პრატქიკული გამოცდილებისა და შესაბამისი უნარ ჩვევების განვითარების ხელშეწყობა.

სტომატოლოგიის პროგრამისათვის შპს აპექსთან გაფორმებული ხელშეკრულება მიზნად ისახავს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას.

თუმცა ამ ხელშეკრულების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი ხელშეკრულება საგანი ბუნდოვნად არის შემუშავებული და მკაფიოდ არ ჩანს დამსაქმებლის ჩართულობა სტუდენტისათვის საწარმო პრაქტიკის შეთავაზების კუთხით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- რომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვა და შედეგების ანალიზი
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია გაძლიერდეს, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების ჩართულობის გაძლიერება პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში;

რჩევები:

სასურველია შრომის ბაზრის კვლევის ჩატარდეს იმ მეთოდებით, რომელიც უზრუნველყოს კვლევის შედეგების სანდოობას;

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამების შემუშავებისას უსდ ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის სახელმძღვანელო პრინციპებით;

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში გაწერილია პროგრამის სწავლის მიზნები, სწავლის შედეგები. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; კურიკულუმის რუკა; პროგრამის სტრუქტურა. პროგრამების სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ეყრდნობა საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს; გასაუბრებისას დადგინდა, რომ ერთსაფეხურებიანი სტომატოლოგიის პროგრამაში გაძლიერდა პრაქტიკის კომპონენტი. თუმცა ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის

სტრქუტურის ანალიზისას გამოვლინდა, რომ სტრუქტურაში შედის როგორც მენეჯმენტის ასევე მარკეტინგის სასწავლო კურსები, გარდა ფინანსების სასწავლო კურსებისა.

პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს მისი შემადგენელი ყველა კომპონენტის ლოგიკურ კავშირს და საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამები უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის არასავალდებულო კომპონენტების არჩევის შესაძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ უსდ-ს ადმინისტრაციამ უზრუნველყო სასწავლო კურსებისათვის ლიტერატურის განახლება, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სილაბუსების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა 2008-2010 წლებშია გამოქვეყნებული, რაც საჭიროებს განახლებას.

ამას გარდა, საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, სწავლის შედეგების რუკა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობები. თუმცა, სწავლის შედეგების რუკა და მიღწევის შესაძლებლობები საჭიროებს დახვეწას, მაგალითად, სწავლის შედეგების რუკაში მოცემულია თუ რა სასწავლო კურსებით ხდება სწავლის შედეგების მიღწევა, ხოლო სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობების რუკა გვიჩენებს რა დონეზე ავითარებს კონკრეტული სასწავლო კურსი სწავლის შედეგებს. მათი ანალიზი გვიჩენებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დარღვეულია სასაწვლო კურსების სწავლის შედეგებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის ლოგიკური კავშირი. კერძოდ, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში გაუგებარია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და რეგიონალური ეკონომიკა რატომ ავითარებს პირველ შედეგს, გაუგებარია სტრატეგიული მენეჯმენტი და რისკის მენეჯმენტი რატომ ავითარებს პირველ, მეორე და მესამე შედეგებს. ასევე გაუგებარია ლიდერობა როგორ ავითარებს მესამე შედეგს.

პირველი შედეგი: ბიზნეს ადმინისტრირების ძირითადი მიმართულებების შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებინებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს;

მეორე შედეგი: ბიზნეს ადმინისტრირების ღრმა და სისტემური ცოდნის მულტიდისციპლინურ გარემოში გამოყენება, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტა, ალტერნატიული გზების ძიება, მათ შორის, საკვლევი თემების დამოუკიდებლად ფორმულირება, თეორიული და ემპირიული მეთოდების გამოყენება კვლევითი პროექტის შემუშავებაში.

მესამე შედეგი: კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;

უსდ უზრუნველყოფს პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ის ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია უსდ-ის ვებ-გვერდზე.

უსდ-მ შემდეგი რეკომენდაციები გაითვალისწინა: სასწავლო პროგრამებში სახელმძღვანელობი განაახლა. თუმცა გამოვლინდა სასწავლო კურსებში გამოყნებული ლიტერატურა, რომელიც არის მოძველებული.

უსდ -მ ყველა პროგრამა განათავსა ვებ გვერდზე.

სტომატოლოგიის პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტი გაძლიერება უზრუნველყვეს ცალკეულ სასწავლო კურსის პრაქტიკული სწავლების შეტავაზებით.

უნივერსიტეტს ყველა პროგრამის მიხედვით გაფორმებული აქვს დამსაქმებლებთან თანამშრომლობის მემორანდუმები. ამ მემორანდუმების ანალიზი გვიჩვენებ, რომ დამსაქმებელი მზად არის თავის ორგანიზაციაში უსდ-ს სტუდენტებს მისცეს სტაჟირების საშუალება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები;
- სილაბუსები;

- აკადემიური კალენდარი;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა და შედეგების ანალიზი

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამებში მოხდეს სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმის გაუმჯობესება სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით.

რჩევები:

სასურველია ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამებში მოხდეს ლიტერატურის განახლება.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უსდ-ში მოქემდებს შეფასების სისტემა, რომელიც ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სწავლის შედეგების შეფასების შემდეგი მეთოდები გამოიყენება:

- კერძოდ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამებისათვის: შემთხვევის ანალიზი, ზეპირი გამოკითხვა, რეფერატი, წერითი გამოკითხვა, ტესტი. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაში გამოყენებული სწავლის შედეგების შეფასება ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას.
- სამართლის პროგრამაში გამოიყენება: დისკუსია/დებატები, ტესტი, წერითი გამოკითხვა, პრეზენტაცია. ქეისის ამოხსნა.
- სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან პროგრამაში, როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა გასაუბრებისას აღნიშნა, რეკომენდაციების შესაბამისად გაძლიერდა პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლის მეთოდები.

სტუდენტებთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია უსდ-ში მოქმედებს შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით და არსებობს შეფასების გასაჩივრების სისტემა.

პროგრამაში არ არის მოცემული კავშირი სწავლის შედეგებსა და შეფასების მეთოდებს შორის. თუმცა სილაბუსების ანალიზი, კერძოდ ,,ფინანსური მენეჯმენტის სასწავლო“ კურსის გვიჩენებს, რომ სწავლის შედეგები შეფასება ხდება ისეთი კომპონენტებით, როგორიცაა შემთხვევის ანალიზი, პროექტის პრეზენტაცია, ზეპირი პრეზენტაცია, შუალედური გამოცდა და საბოლოო გამოცდა ფასდება წერითი ფორმით. შეფასების სისტემაშ იასევე გაწერილია შეფასების მეთოდები კრიტერიუმები.
პროექტების მართვის სასწავლო კურსის სილაბუსის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სწავლის შედეგების შეფასების შემდეგი მეთოდება გამოყენებული: შემტხვევის ანალიზი, ზეპირი პრეზენტაცია, წერითი პრეზენტაცია, ტესტი.
მენეჯმენტის საფუძვლების სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ფასდება შემდეგი შეფასების მეთოდებით: შემთხვევის ანალიზი, რეფერატი, ტესტი, ზეპირი პრეზენტაცია, წერითი პრეზენტაცია.

სამართლის პროგრამა 1. **საერთაშორისო ბიზნესის სამართალი:** სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული შემდეგი შეფასების მეთოდები: ტესტი, წერითი გამოკითხვა, პრეზენტაცია, ქვიზი. 2. **სამართლის ფილოსოფია:** სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული შემდეგი შეფასების მეთოდები: ტესტი, ღია კითხვა, წერითი გამოკითხვა, პრეზენტაცია; 3. **ადმინისტრაციულ სამართალდარღვევები:** ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაცია, ტესტი, ზეპირი გამოკითხვა. **სტომატოლოგია** **თერაპიული სტომატოლოგია 1: პრეზენტაცია, ტესტი. ამ სასწავლო კურსში მოცემულია შეფასების ისეთი მეთოდი, როგორიცაა: პრაქტიკული უნარ-ჩვევები მაქს. 10 ქულა.** თითოეულ პრაქტიკულ მუშაობაზე თითო ქულა. რაც გაიგებარია, როგორ ხდება ამ კომპონენტის სწავლის შედეგის შეფასება და რა კრიტერიუმებით. **თერაპიული სტომატოლოგია 2, 3:** გამოყენებულია სწავლის შედეგების შეფასების შემდეგი მეთოდები: ზეპირი პრეზენტაცია, დისკუსია, ტესტი, ანალიზი და სინთეზი, პრაქტიკული ქეისი. **ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგია:** სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებია: ვერბალური პრეზენტაცია, რეფერატი, პრაქტიკული უნარ-ჩვევების დემონსტრირება. პროგრამაში არ არის მოცემული სამიზნე ნიშნულები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სწავლის შედეგების შეფასების სისტემა • საგანმანათლებლო პროგრამები • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: დაკონკრეტდეს პრაქტიკული მუშაობის შეფასების კრიტერიუმები.
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სასწავლო უნივერსიტეტმა შეიმუშავა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცდა 2019 წლის 22 აპრილს. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ აღნიშნული დოკუმენტის ბოლო გვერდზე (36), ვხვდებით აბრევიატურას ,,გთუნი". ინტერვიუს დროს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ექსპერტთა ჯგუფმა სთხოვა განმარტება ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, თუმცა პასუხი არ მიუღია. ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ,,გთუნი" არის გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის შემოკლებული სახელწოდება. აღნიშნულმა დაწესებულებამ 2019 წლის 29 მარტს დაამტკიცა პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც განთავსებულია მათ ვებგვერდზე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა მართვის პოლიტიკის დოკუმენტების შედარება და აღმოჩნდა, რომ რიგი საკითხები იდენტურად არის მოწესრიგებული ორივე დაწესებულების შემთხვევაში. მაგალითად: სასწავლო უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკის 6-7 გვერდებზე არსებული ჩანაწერები, იდენტურია თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ანალოგიური დოკუმენტის 6-7 გვერდებზე არსებული ჩანაწერებისა. ასევე, 13-14 და 16-17 გვერდები, 17-18 და 23-24 გვერდები, 24 და 27 და სხვა. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ აღნიშნული დოკუმენტი არ არის მორგებული თდასუს საჭიროებებზე. მაგალითად: მართვის პოლიტიკაში ვხვდებით ჩანაწერს ,, სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურა სრულად ფარავს საუნივერსიტეტო საქმიანობის სფეროებს და იძლევა მისი განვითარების შესაძლებლობებს; - არ შეიცავს ე.წ. „ნაპრალებს" (ყველა მათგანს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები და მოვალეობები) და ადგილი არ აქვს ფუნქციათა დუბლირებას. ამასთან, მათი საქმიანობის პერიოდული მონიტორინგით სასწავლო უნივერსიტეტი ადგენს აქვს თუ არა ფუნქციათა გადაფარვას საქმიანობას ადგილი ამა თუ იმ ასპექტში და საუნივერსიტეტო რესურსების რაციონალური ხარჯვის მიზნით, აღმოფხვრის ამ ხარვეზს. (მუხლი 5), აღნიშნული ჩანაწერი ცალსახად არ ეხმიანება დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებს. ასევე , მართვის პოლიტიკის დოკუმენტში ვხვდებით ჩანაწერს, რომელიც ეხება უცხოელი ექსპერტის მოწვევას კონსულტანტად, ტრენინგების, მასტრეკლასების და სხვა აქტივობების განხორციელების მიზნით (14 გვ), აღნიშნული არ არის თანხვედრაში დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიასთან. სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ,,ადმინისტრაციულ თანამდებობაზე თანამშრომელთა შერჩევისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის წესი". აღნიშნული დოკუმენტის თანახმად საკვალიფიკაციო მოთხოვნებია: უმაღლესი განათლება, მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება, საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად კანდიდატთა შერჩევის ერთ-ერთი გზაა კონკურსის ჩატარებაც, თუმცა არ არსებობს კონკურსანტთა შეფასების კრიტერიუმები. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. სასწავლო უნივერსიტეტმა წარმოადგინა ოქმები, რომლის შესაბამისადაც საკონკურსო კომისიამ შეარჩია ფაკულტეტის დეკანი. წარმოდგენილი ოქმებიდან არ დასტურდება, რომ შერჩევის პროცესი იყო გამჭვირვალე. დეტალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეული პოზიციისთვის არ არის შემუშავებული. სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამუშაოს აღწერილობები.თუმცა ვერ განხორციელდა წარმოდგენილი cv-ების მიხედვით იმის განსაზღვრა აკმაყოფილებს თუ არა პერსონალი საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ვინაიდან დეტალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ არსებობს. ამასთან, ხაზგასსმელია ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ პერსონალთან რიგ შემთხვევაში შრომის ხელშეკრულება გაფორმებულია 1 წელზე ნაკლები ვადით. საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის 1[2] პუნქტის თანახმად ხელშეკრულება უნდა დაიდოს 1 წლით ან მეტი ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს ამავე პუნქტში ჩამოთვლილი საფუძვლები. წარმოდგენილ ხელშეკრულებებში ასეთი საფუძვლები არ არის მითითებული. ამდენად, შრომის კოდექსის დარღვევით არის გაფორმებული. სასწავლო უნივერსიტეტში არ არსებობს წინასწარ ჩამოყალიბებული ანაზღაურებისა და წახალისების პრინციპები, რომლებიც ითვალისწინებს თანამშრომელთა მუშაობის შეფასების შედეგებს. ადამიანური

რესურსებისა და საქმისწარმოების სამსახურთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ თითოეული თანამშრომლის წახალისება ხორციელდება ინდივიდუალურად და გადაწყვეტილებას იღებს რექტორი. სასწავლო უნივერსიტეტში არ ხორციელდება ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასება. ექსპერტთა ჯგუფმა სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს სთხოვა პერსონალის საქმიანობის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა, ასეთი სახის დოკუმენტაციის მოწოდება არ განხორციელებულა. ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამსახური არ ფლობდა ინფორმაციას პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმების შესახებ. სასწავლო უნივერსიტეტში არ ხორციელდება თანამშრომელთა ეფექტიანი ჩართვა სამუშაო პროცესში, ვინაიდან თანამშრომელთა დიდი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას არსებული მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ. ამასთან, ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამსახურის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ იგი ხელს უწყობს ახალი თანამშრომლების სამუშაო პროცესში ინტეგრაციას, აცნობს სტრუქტურას და ა.შ. თუმცა ექსპერტთა კითხვაზე, თუ სად იყო აღნიშნული პროცედურა გაწერილი პასუხი არ ჰქონდა. ხაზგასასმელია ის გარემოება. რომ სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარდა ორი კონკურსი: პირველი კონკურსი გამოცხადდა 2019 წლის 31 იანვარს, ხოლო მეორე კონკურსი 2019 წლის 25 აპრილს. სასწავლო უნივერსიტეტმა წარმოადგინა საკონკურსო დოკუმენტაცია. ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,აკადემიური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები“ (კონკურსის დროს). აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, არსებობს სხვადასხვა კრიტერიუმები, რომელთა შეფასებაც ხდება ქულებით. წარმოდგენილი სქემა არ არის გამჭვირვალე, არსებული კრიტერიუმები ბუნდოვანია, მაგალითად: სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა ფასდება მინიმუმ 5 და მაქსიმუმ 7 ქულით, სამაგისტრო თემის ხელმძღვანელობა მინიმუმ 6 და მაქსიმუმ 9 ქულით, დოქტორის მომზადება მინიმუმ 6 და მაქსიმუმ 12ქულით, დოქტორანტის ხელმძღვანელობა მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 6 ქულით. ინტერვიუს დროს ექსპერტთა ჯგუფმა ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამსახურს ჰკითხა, თუ რა განსხვავება არსებობდა ამ კრიტერიუმებს შორის, რაზეც პასუხი არ მიუღია. ასევე, ბუნდოვანია რას გულისხმობს გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა - 10 ქულა. არსებული დოკუმენტიდან ვერ ხდება იდენტიფიცირება რამდენი ქულის დაგროვებაა სავალდებულო, არანაირი მინიმალური ზღვარი არ არის დაწესებული. ამასთან, შეფასების კომპონენტები დაყოფილია ჯგუფების მიხედვით და გაურკვეველია რამდენი მათგანის დაკმაყოფილება მოეთხოვება კონკურსანტს. არც კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანება არ შეიცავს დეტალურ ინფრომაციას. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა აფილირების წესი და აფილირებულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება. წარმოდგენილი ხელშეკრულების მიხედვით პირს აუნაზღაურდება, მხოლოდ სააუდიტორიო დატვირთვა. ინტერვიუს დროს აფილირებულ აკადემიურ პერსონალს არ ჰქონდა ინფორმაცია, თუ რითი განსხვავდებოდა მათი ხელშეკრულება აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებისგან. მათი ინფორმაციით აფილირებულ პერსონალს საათების განაწილების დროს ჰქონდა უპირატესობა. დაწესებულებამ წარმოადგინა ფაკულტეტის საბჭოს დებულება, რომელიც ითვალისწინებს საბჭოს წევრების არჩევის პროცედურას, მაგრამ აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროს არცერთი მათგანი არ იცნობდა აღნიშნულ წესს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • პერსონალის მართვის პოლიტიკა; • შრომის ხელშეკრულება; • აფილირებულ პროფესორთან გაფორმებული ხელშეკრულება; • საკონკურსო მასალები; • აკადემიური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები; • სამუშაოს აღწერილობბეი; • ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის წესი; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • შემუშავდეს ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

- შემუშავდეს პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი;
- შემუშავდეს აკადემიური პერსონალის შეფასების (კონკურსის დროს) გამჭვირვალე კრიტერიუმები;
- შემუშავდეს ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის გამჭვირვალე კრიტერიუმები;
- შემუშავდეს პერსონალის წახალისების მექანიზმი;
- შემუშავდეს ახალი თანამშრომლის სამუშაო პროცესში ინტეგრაციის ეფექტიანი მექანიზმი;
- შრომის ხელშეკრულებები გაფორმდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით;
- დადგინდეს განსხვავება აფილირებულ და აკადემიურ პერსონალს შორის;
- შემუშავდეს სასწავლო უნივერსიტეტის საჭიროებებზე მორგებული პერსონალის მართვის პოლიტიკა.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს საშუალება არ მიეცათ შეეფასებინათ პერსონალის დატვირთვის სურათი 2019-2020 წელს. ამდენად, 2019-2020 სასწავლო წლის დატვირთვების არ ქონა აჩენს გონივრულ ეჭვს, რომ დაწესებულებაში არ არსებობს პერსონალის დატვირთვის სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი. აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი ინფორმირებულები არიან იმის თაობაზე, რომ სასწავლო უნივერსიტეტში უნდა მოიტანონ ცნობა სხვა დაწესებულებაში მათი დატვირთვის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. სასწავლო დატვირთვები;
2. ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

შემუშავდეს ეფექტიანი მექანიზმი აკადემიური/მოწვეული პერსონალის სხვა უსდ-ებში დატვირთვის მონიტორინგის შესახებ.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში ინტერვიუებისას დადგინდა, რომ სტუდენტები ინფორმირებულები არიან მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის პროცედურების შესახებ. უსდ-სა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება იცავს სტუდენტების უფლებებს. ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტებისათვის მოხდა ხელშეკრულების პირობების გაცნობა. დაწესებულებაში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის წესი სამართლიანია. სტუდენტები საჭიროებისამებრ ინფორმირებულები არიან აღნიშნული პროცედურების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • დოკუმენტი სტუდენტების, ადმინისტრციისა და აკადემიური პერსონალის სამართლებრივი უფლება-მოვალეობების შესახებ; • დაწესებულების ვებგვერდი; • დოკუმენტი „განმარტებები ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმისა და ექსპერტთა დასკვნაში გამოთქმული მოსაზრებების შესახებ“; • თდასუ-სა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში; • სტუდენტებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში ფუქციონირების სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახური, რომელიც პასუხიმგებელია სტუდენტებს შესთავაზოს კარიერული მხარდაჭერის სერვისები. ინტერვიუებისას დადგინდა, რომ აღნიშნული სამსახურის მენეჯერი ნაკლებად იცნობს სამსახურის ფუნქცია-მოვალეობებს. რაც შეეხება სამსახურში შემავალ დასაქმების კოორდინატორს, გამოიკვეთა, რომ იგი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის გარკვეული ვაკანსიების შეთავაზებას, თუმცა რეკომენდირებულია ვაკანსიები მეტ-ნაკლებად შეესაბამებოდეს სტუდენტთა კვალიფიკაციას. ცენტრის ფარგლებში ხორციელდება საჯარო ლექციების ორგანიზებაც, რომლის ანგარიშიც წარმოადგინა დაწესებულებამ.

რაც შეეხება საერთაშორისო თანამშრომლობას, დაწესებულებას კვლავ გასაძლიერებელი აქვს მუშაობა ამ კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ უსდ აღნიშნავს, რომ ცდილობს გაცვლითი პროგრამების ამოქმედებას, ასევე გააჩნიათ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, ვიზიტის განხორციელებისას მათ ვერ წარმოადგინეს გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების სია (სტატისტიკა) და შესაბამისად შეუძლებელია შედეგის შეფასება. თავად სტუდენტებიც არ არიან ინფორმირებულები, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს გაცვლითი პროგრამები.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობას. დაწესებულება მართავს კონფერენციებს და სტუდენტები ინფორმირებულები არიან აღნიშნულის შესახებ. ასევე, უსდ-ში მოქმედებს სტიპენდიების დანიშვნის წესი და სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს გადასახადის წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად გადახდას.

დაწესებულებამ წარმოადგინა სტუდენტების გამოკითხვები, თავად სტუდენტებიც ადასტურებენ, რომ პერიოდულად ავსებენ კითხვარებს და გამოკითხვების შედეგად რეაგირების მაგალითად ასახელებენ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, თუმცა, როგორც აღინიშნა, რთულია შეფასდეს რამდენად ხდება ისეთი საკითხების გაუმჯობესება, რომელიც ეხება აკადემიურ საქმიანობასა და ორგანიზაციულ საკითხებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ ანგარიში;
- დაწესებულების ვებგვერდი; სტიპენდიების დანიშვნის წესი;
- დოკუმენტი სტუდენტური სერვისები;

- დოკუმენტი „განმარტებები ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმისა და ექსპერტთა დასკვნაში გამოთქმული მოსაზრებების შესახებ“;
- სტუდენტებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია სერვისების განვითარებისა და დასაქმების სამსახურის მიერ შეთავაზებული ვაკანსიები მეტ-ნაკლებად შეესაბამებოდეს სტუდენტთა კვალიფიკაციას;
- კვლავ რეკომენდირებულია დაწესებულებამ აამოქმედოს გაცვლითი პროგრამები და უზრუნველყოს სტუდენტების ჩართულობა.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა

- უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.
- სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.
- უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უსდ წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტს და მოცემული სტანდარტის შეფასება ეყრდნობა ამ მოცემულობას. შესაბამისად, არ ფასდება სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობა და სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცედურები.

უსდ-ს ბაზაზე შექმნილია იურიდიული კვლევების ცენტრი და ბიზნეს კონსულტაციების ცენტრი. მოცემული ცენტრების საფუძველზე, უსდ ფინანსური მხარდაჭერით, იმართება კონფერენციები და კონფერენციაზე წარდგენილი ნაშრომები გამოიცემა ჟურნალის სახით. უცხოელ მონაწილეთა მოხსენებების უმეტესობა იყო რუსულენოვანი. არ არის გამოკვეთილი სამეცნიერო კვლევების კონკრეტული პრიორიტეტები და თემატიკა. მოცემული კონფერენცია და ჟურნალი არ შეიძლება ჩაითვალოს სრულფასოვან სამეცნიერო კვლევებად, ვინაიდან არ არსებობს მოხსენებების სამეცნიერო შეფასების მექანიზმები. უსდ-ს არ გააჩნია საერთაშორისო რეფერირებად ან იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში კვლევების გამოქვეყნების ეფექტური სტრატეგია.

ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ფინანსური მხარდაჭერით უნდა გამოიცეს რუსულენოვანი სახელმძღვანელო იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით. წიგნის თანაავტორი არის უსდ თანამშრომელი, სერვისების განვითარებისა და დასაქმების მენეჯერი, რომელიც არ წარმოადგენს უსდ-ს აკადემიურ

პერსონალს. ინტერვიუერებმა ვერ ახსნეს, რატომ გადაწყდა ამ წიგნის გამოცემა. ინტერვიურების პასუხები არ ემთხვეოდა ერთმანეთს წიგნის შერჩევასა და მისი გამოცემის ვადებთან დაკავშირებით.

უსდ-ს აქვს შემუშავებული სამაგისტრო ნაშრომების კონცეფცია, თუმცა ვინაიდან ვიზიტის დროს სამაგისტრო საფეხურზე ჯერ არც ერთი ნაშრომი არ იყო მომზადებული, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურის და ხელმძღვანელობის ეფექტიანობის შეფასება ვერ მოხერხდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუები;
- მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუები
- აკადემიური საბჭოს წევრებთან ინტერვიუები;
- 2018-2019 -ანგარიში ჩატარებული კვლევების შესახებ -(აკადემიური საბჭოს ოქმი #4; 19.06.2019.წ.; რექტორის ბრძანება 20.06.19. #083/01/5.)

რეკომენდაციები:

- გაიზარდოს თდასუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების ეფექტიანობა კონკრეტულ პრიორიტეტებზე დაყრდნობით;
- თდასუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმინობა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ კონფერენციების ორგანიზებით და მათი მასალების დაბეჭდვით, არამედ აკადემიურმა პერსონალმა თავისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები გამოაქვეყნოს ქართულ და უცხოურ რეფერირებად სამეცნიერო-კვლევით კრებულებში.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით უსდ-ში შექმნილია ორი კვლევითი ცენტრი, თუმცა მათი საქმიანობა ჯერჯერობით ვერ ადასტურებს ეფექტური სისტემის არსებობას. უნივერსიტეტში კვლევების წარმართვისა და სამეცნიერო-აკადემიური აქტივობების განსახორციელებლად, შექმნილია იურიდიული კვლევების ცენტრი და ბიზნეს კონსალტინგ ცენტრი, ხოლო ჯანდაცვის მიმართულებით მიმდინარეობს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებისა და იმუნოსტიმულატორების კვლევა. უსდ მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, ჯერჯერობით კვლევითი საქმიანობის შედეგია ერთი საერთაშორისო კონფერენცია და თანამშრომლობა უკრაინულ უნივერსიტეტთან.

უსდ-ს შემუშავებული აქვს სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის დოკუმენტი, თუმცა დოკუმენტით გათვალისწინებული ქმედებები ძირითადად არ არის შესრულებული. დოკუმენტის მნიშვნელოვანი ნაწილი გადმოტანილია საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის კვლევითი სტრატეგიის დოკუმენტიდან, მათ შორის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უსდ გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს SEU&SCIENCE. საჭიროა, უსდ-მ შეიმუშავოს კვლევითი სტრატეგია უსდ-ს მისიასა და პრიორიტეტებზე დაყრდნობით.

უსდ-ს გააჩნია კვლევითი საქმიანობის წახალისების გარკვეული მექანიზმი, რომელიც არაა გამჭვირვალე. უსდ ითვალისწინებს კვლევების წარდგენას საერთაშორისო კონფერენციებზე და კვლევების გამოქვეყნებას, თუმცა აკადემიური საბჭოს წევრებმა ვერ ახსნეს, რაზე დაყრდნობით ხდება კონკრეტული კვლევის დაფინანსება. მაგალითად, წინა პუნქტში ნახსენები წიგნის გამოცემისთვის გადაწყვეტილების მიღების დროს აკადემიური საბჭოს წევრები დაეყრდნენ თანაავტორის შეფასებას წიგნის სასწავლო პროცესში გამოყენების საჭიროების თაობაზე.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია ამჟამად გულისხმობს მხოლოდ უკრაინელ მეცნიერებთან თანამშრომლობას, თუმცა უსდ-დ გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ლიტვის, ირანის, ჩეხეთის რამდენიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომლებიც ითვალისწინებს თანამშრომლობას არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებითაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუები;
- მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები;
- აკადემიური საბჭოს წევრებთან ინტერვიუები;
- 2018-2019 -ანგარიში ჩატარებული კვლევების შესახებ -(აკადემიური საბჭოს ოქმი #4; 19.06.2019.წ.; რექტორის ბრძანება 20.06.19. #083/01/5.)
- უსდ მემორანდუმები სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან

რეკომენდაციები:

- უსდ-მ შეიმუშავოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წახალისების გამჭვირვალე და ეფექტური მექანიზმები და გააცნოს ის აკადემიურ პერსონალს
- უსდ-მ შეიმუშავოს მის მისიასა და პრიორიტეტებზე დაფუძნებული კვლევითი სტრატეგია და შეასრულოს სტრატეგიით გათვალისწინებული ქმედებები.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უსდ-ს მიერ წარმოდგენილი პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა არის ზოგადი, არ გააჩნია კვლევების შეფასების რაოდენობრივი ინდიკატორები. შეფასების სისტემა შესაბამისად არ არის ამოქმედებეული. დაწესებულების პერსონალი ცუდად იცნობს სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემას. უსდ-ს აქვს გამოქვეყნებული ანგარიში პერსონალის სამეცნიერო კვლევების შესახებ, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ მიმდინარე კვლევების მოკლე ჩამონათვალს, შინაარსის აღწერის, შეფასებისა და ანალიზის გარეშე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • 2019 - პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა-(აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #2; 22.04. 2019.წ.; • რექტორის ბრძანება #068/01/5. 24.04.2019); 3. 2019- სასწავლო პროცესის, კვლევების და აკადემიური პერსონალის შეფასების სისტემა(აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #2; • 22.04. 2019.წ.; რექტორის ბრძანება #068/01/5. 24.04.2019); • ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან. • თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტში 2018 -2019 წწ ჩატარებული კვლევების შესახებ ანგარიში
რეკომენდაციები: • აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა შეიცვალოს ისე, რომ ითვალისწინებდეს კვლევების რაოდენობრივ და ხარისხობრივი შეფასების ინდიკატორებს; • აკადემიურ პერსონალს მიეწოდოს დეტალური ინფორმაცია სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემის შესახებ
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.

- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო უნივერსიტეტს სარგებლობაში აქვს ფართი ორ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18-22 და ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. N 24. მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომელიც განხორციელდა 2019 წლის თებერვალში სასწავლო უნივერსიტეტს მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით მიეცა შემდეგი რეკომენდაციები:

1. თბილისში, რუსთავის გზატკეცილი N18-22 მისამართზე მდებარე შენობის შესაბამისობაში მოყვანა ავტორიზაციის სტანდარტთან, რათა შესაძლებელი გახდეს აღნიშნული შენობის გამოყენება საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიზნებისთვის. ექსპერტთა ვიზიტის დროს აღნიშნულ ფართში კვლავ მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. დაწესებულების აღნიშნული კორპუსი არ იყო აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით. ამდენად, იგი არ არის მზად, რათა 2019-2020 სასწავლო წელს განხორციელდეს სტუდენტთა მიღება. კერძოდ აღნიშნულ მისამართზე ვიზიტის დროს შენობაში არ არსებობდა სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შესაბამისი გარემო, სველი წერტილები არ იყო ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის, სართულიდან სართულზე ასვლა შესაძლებელი იყო პანდუსის მეშვეობით, რომელიც ართულებს გადაადგილებას, განსაკუთრებით ჩამოსვლის დროს (ზედმეტად დახრილია). შენობაში არ არსებობს კიბეები. პანდუსების არსებობა მათი დახრილობის გათვალისიწნებით შესაძლოა არ იყოს უსაფრთხო გზა პერსონალის/სტუდნეტების გადაადგილების დროს, მით უფრო სსსმ პირების შემთხვევაში. ამასთან, შენობაში არ იყო გამოყოფილი შემდეგი სავალდებულო ფართები: სარეკრეაციო სივრცეები, ადმინისტრაციული სათავსო/სათავსოები, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, სასწავლო კაბინეტები, არქივი. სათავსოების განლაგება ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას; დაწესებულებას არ ჰქონდა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი; დაწესებულებას არ წარმოუდგენია დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.

2. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. N24 მისამართზე მდებარე შენობაში მეექვსე და მეშვიდე სართულების საევაკუაციო რკინის კარის შეცვლას ხის მასალისგან დამზადებული კარით, ხოლო თავად შენობის საევაკუაციო გასასვლელის შესაბამისობაში მოყვანას ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ უსაფრთხოების მოთხოვნებთან - ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ რკინის კარი საერთოდ მოხსნილია. ამდენად, შესრულებულია მონიტორინგის ექსპერტთა რეკომენდაცია.

ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სულხან ცინცაძის კორპუსში არ არის გამოყოფილი სივრცეები სტუდენტებისთვის, არ არის საკონფერენციო დარბაზი, სამკითხველო დარბაზი არის საკმაოდ მცირე ზომის. რიგ ლაბორატორიებში/კაბინეტებში არც სავენტილაციო სისტემაა და არც კონდიცირება არ ხორციელდება. შენობაში არ არის სარეკრეაციო სივრცე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
- ვიზუალური დათვალიერება.

რეკომენდაციები:

- რუსთავის გზატკეცილზე განთავსებული შენობა მოვიდეს შესაბამისობაში მატერიალური რესურსის სტანდართან;
- სულხან ცინცაძეზე განთავსებულ შენობაში განხორციელდეს კაბინეტების/ლაბორატორიების კონდიცირება/ვენტილაცია;
- მოეწყოს სტუდენტური სივრცეები, საკონფერენციო დარბაზი.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2019 წლის თებერვალში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად სასწავლო უნივერსიტეტს მიეცა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რუსთავის გზატკეცილი N18-22 მისამართზე მდებარე შენობიდან იმ სახელმძღვანელოების გადმოტანა და სულხან ცინცაძის ქ. N24 მისამართზე მდებარე შენობაში არსებულ ბიბლიოთეკაში განთავსება, რომლებიც სტატისტიკურად მოთხოვნადია როგორც სტუდენტების, ასევე პერსონალის მიერ, რაც ხელს შეუწყობს, წიგნადი ფონდის ხელმისაწვდომობის ზრდას. ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევითი პრინციპით გადაამოწმა სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკაში და მათი არსებობა დადასტურდა.
2. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსების აქტიური გამოყენების უზრუნველყოფას სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ. ინტერვიუს დროს, როგორც აკადემიურ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან არ დადასტურდა ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსების აქტიური გამოყენება. აკადემიური პერსონალი საერთოდ არ სარგებლობდა საერთაშორისო ბაზებით.
3. მიუხედავად იმისა, რომ უსდ-ს ადმინისტრაციამ უზრუნველყო სასწავლო კურსებისათვის ლიტერატურის განახლება, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სილაბუსების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა 2008-2010 წლებშია გამოქვეყნებული, რაც საჭიროებს განახლებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსების აქტიური გამოყენების უზრუნველყოფა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უსდ-ს გააჩნია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

დაწესებულებაში დანერგილია სტუდენტთა მომსახურების ელექტრონული სისტემა. 2019 წლის თებერვლის მონიტორინგის ვიზიტის რეკომენდაციების შედეგად, დაინერგა საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა.

თდასუ-ს ოფიციალური ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას მხოლოდ ქართულ ენაზე. ინგლისურენოვან გვერდზე განთავსებულია ძირითადი ინფორმაცია, თუმცა პდფ-ის სახით ატვირთული ინფორმაციის დიდი ნაწილი ქართულენოვანია.

ვებგვერდზე განთავსებულია უსდ-ს მისია, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, პროგრამები და ამ პროგრამაზე სტუდენტების შერჩევის კრიტერიუმები, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცედურები, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები.

ვებგვერზე განთავსებულია აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის ჩამონათვალი და ინფორმაცია მათ შესახებ. ასევე განთავსებულია ინფორმაცია ინფორმაცია ადინისტრაციული პერსონალის შესახებ.

ვებგვერდზე განთავსებულია სტრატეგიული განვითარების გეგმები და ინფორმაცია მიმდინარე და განხორციელებული კვლევების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უსდ ვებგვერდი
- ინტერვიუები ადმინისტრაციულ პერსონალთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

- ინგლისურენოვან გვერდზე განთავსებულ ბმულებზე აიტვირთოს ინგლისურენოვანი ინფორმაცია.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის შემოსავლების ფორმირება ხდება ძირითადი საქმიანობიდან. კერძოდ, ბიუჯეტის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოსალოდნელი შემოსავალი არის 481 350 ლარი. ხოლო ექვსი თვის ფაქტიური შემოსავალი არის 257 784 ლარი. მოსალოდნელი ხარჯებია 441 635 ლარი. ხოლო ექვსი თვის ფაქტობრივი ხარჯები - 207 739 ლარი. გარდა ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლისა, უნივერსიტეტს გააჩნია დამფუძნებლის მიერ შემოთავაზებული საგარანტიო თანხა 180 00 ლარის მოცულობის. რაც მოსალოდნელი შემოსავლის 37%-ია. უნივერსიტეტს გააჩნია 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა და გეგმის ფარგლებში სამოქმედო გეგმა და განსახორციელებელი აქტივობები. თუმცა, სამოქმედო გეგმის ფარგლებში თითოეული აქტივობა რა ხარჯებთან არის დაკავშრებული არ ჩანს, კერძოდ არ არის გაწერილი დინამიკა წლების მიხედვით. შესაბამისად რთულია შევაფასოთ რამდენად საკმარისია ფინანსური რესურსები გეგმებში გაწერილი აქტივობების ეფექტურად შესრულებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ 2019 წლის ბიუჯეტის მიხედვით მოსალოდნელი შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობა მოგებით (39 715 ლარი) სრულდება. გარდა ამისა, უსდ-ს ფინანსური მენეჯმენტი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებში უსდ ზარალს განიცდიდა, შემოსავლები ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა.

ექსპერტთა დასკვნაში მოყვანილი რეკომენდაცია, ,,თდასუ-ის ბიუჯეტის დაგეგმვისას უნდა გაითვალისწინოს საგანმანათლებლო პროგრამებიდან მიღებული ფაქტობრივი შემოსავლები, დაფიქსირდეს არსებული დეფიციტის შესავსებად საჭირო დივერსიფიცირებული წყაროები, დაგეგმილი ხარჯების განხორციელების მდგრადობის განსაზღვრის მიზნით“, ნაწილობრივ შესრულებულია. კერძოდ, 2019 წლის ბიუჯეტისათვის დამფუძნებელმა შექმნა 180 000 ლარის მოცულობის საგარანტიო თანხა, რაც წარმოადგენს დაგეგმილი შემოსავლის 37%. ასვე შეიქმნა ორგანიზაციაში 100 000 ლარის მოცულობის სარეზერვო ფონდი, რაც დაგეგმილი შემოსავლის 20,77%-ია. სარეზერვო თანხისა და საგარანტიო თანხის ჯამი წარმოადგენს დაგეგმილი შემოსავლების 60%-ს. ამ ინფრომაციის საფუძველზე, რთულია შევაფასოთ დაფინანსების დამატებითი წყაროდან მიღებული თანხა რამდენად შეუწყობს ხელს უნივერსიტეტის ფინანსურ მდგრადობას, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფს არ გააჩნია ფინანსური მონაცემები უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში. კერძოდ მოთხოვნილ იქნა უკანასკნელი წლების მოგება ზარალის ანგარიშგება მდგრადობის შესაფასებლად, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო მოთხოვნილი ინფრომაცია.

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასის თანაფარდობა შემოსავლებთან მიმართებით არის 29,44%;
- ადმინისტრაციული პერსონალის სახელფასო ფონდი - 31,47%
- დამხმარე პერსონალის - 3,37%

- თანამშრომელთა მოტივაციის ხარჯი - 0,5 %;
- მომსახურების ხელშეკრულებიტ გათვალისწინებული ხარჯები - 0,3%
- სტუდენტური სერვისები - 0,6%;
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხარჯი - 2,07%
- საერთაშორისო და ადგილობრივ ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნებული ხარჯები - 0,4%
- სტუდენტთა კვლევითი საქმიანობა - 2,07%
- სტუდენტთა კარიერული წინსვლის მხარდაჭერის ხარჯები - 0,6%
- საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ხარჯები - 1,24%;
- მატერიალურ ტექნიკური ბაზის განვითარების ხარჯები - 1,03%
- მიმდინარე რემონტის ხარჯები - 4,15%;
- ძირითადი საშუალებების შეძენის ხარჯები - 1,24%;
- სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯები - 0,6%
- სამივლინებო ხარჯები - 0,51 %
- სტუდენტური თვითმართველობის დაფინანსება - 0,62%
- საერთაშორისო ურთიერთობებისა და უცხოელ სტუდენტთა მხარდაჭერის ხარჯები - 0,66%
- პროფესიული პრაქტიკის უზრუნველყოფის ხარჯები - 1,21%
- ექიმის კაბინეტის ხარჯები - 0,31%
- კომუნიკაციის ხარჯები - 1,3%;
- საქველმოქმედო ხარჯები - 0,4%
- საკანცელარიო ხარჯები - 0,6%
- ბიბლიოთეკის ხარჯები - 0,72%.
- მთლიანი კომუნალური ხარჯები - 2,28%
- ძირითადი საშუალებების ხარჯები - 0,05%
- საგადასახადო ხარჯი - 0,14%
- სხვა ხარჯები - 1,03
- მოგების თანაფარდობა შემოსავლებთან - 8,25%.

თუმცა, 2019 წლის 6 თვის ფაქტობრივი მდგომარეობით სურათი შემდეგია: მთლიანი ხარჯები წარმოადგენს 207 739 ლარი. აქედან აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასის ხარჯი - 64 121,8 ლარი; ადმინისტრაციის ხელფასი - 78 793, 1 ლარი; დამხმარე პერსონალის ხარჯი - 9 000 ლარი; მომსახურებით ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯი 550 ლარი; სტუდენტთა სერვისები - 1710 ლარი; მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხარჯები 1718 ლარი; მიმდინარე რემონტის ხარჯი - 14 979,1 ლარი; ძირითადი საშუალებების შეძენის ხარჯები - 5250 ლარი; სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯები - 6378 ლარი; სამივლინებო ხარჯი - 3175,3 ლარი; სტუდენტური თვითმართველობის დაფინანსების ხარჯები - 381,9 ლარი; ექიმის კაბინეტი - 643,1 ლარი; კომუნიკაციის ხარჯი - 857,2 ლარი; საქველმოქმედო ხარჯი - 200 ლარი; საკანცელარიო ხარჯი - 1625,4 ლარი; ბიბლიოთეკის ხარჯი 2775,6 ლარი; მთლიანი კომუნალური ხარჯი - 6 775,6 ლარი. ბანკის მომსახურების ხარჯი - 115 ლარი. საგდასახადო ხარჯი 657,6 ლარი.

როგორ უკვე ავღნინეთ ორგანიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში თითოეული აქტივობა რა ხარჯებთან არის დაკავშრებული არ ჩანს, კერძოდ არ არის გაწერილი განსახორციელებელი საქმიანობების დინამიკა წლების მიხედვით. თუმცა აქვე მინდა შევეხო ბიუჯეტის რამდენიმე მუხლის კავშირს სამოქმედო გემასთან. კერძოდ, სამოქმედეო გეგმაში ვკითხულობთ, რომ მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში უნივერსიტეტი გეგმავს შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას.

1. მატერიალურ - ტექნიკური ბაზის სრულყოფა და ინვენტარიზაცია
2. ბიბლიოთეკის განახლება, წიგნადი ფონდის გაზრდა;
3. საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში ჩართვა
4. საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებში მონაწილეობა
5. უცხოურ საგანმანათლებლოო ვებ-გვერდებზე სასწავლო უნივერსიტეტისა და აკადემიური პროგრამების შესახებ ინფორმაციების განთავსება და უცხოელი სტუდენტებისთვის აკადემიური პროგრამებზე მიღების პირობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

6. სასწავლო უნივერსიტეტის კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საერთაშორისო კვლევითი პროექტების განხორციელება
7. საერთაშორისო საგანმანათლებლ ო გამოფენებში მონაწილეობა

ეს არის იმ აქტივობების მცირე ჩამონათვალი, რომელიც მოცემულია სტრატეგიულ გეგმაში და რომლის განხორციელება დაკავშირებულია დაფინანსებათან. ფაქტიურად ყველა აქტივობა ფინანსდება ბიუჯეტიდან. თუმცა ჩვენის ვიზიტის პერიოდში არ იყო ათვისებული ისეთი მუხლები, როგორიცაა აკადემიური სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა, საერთაშორისო და ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნების ხარჯი, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ხარჯი, სტუდენტთა კვლევითი აქტივობები, საერთაშორისო ურთიერთობებისა და უცხოელ სტუდენთტა მხარდაჭერის ხარჯები.

სასწავლო უნივერსიტეტის კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საერთაშორისო კვლევითი პროექტების განხორციელება

- ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ მატერიალურ ფასეულობებს (კომპიუტერული ტექნიკა, საოფისე ავეჯი და სხვ.) აქვს მინიჭებული შტრიხკოდები.
- უსდ-ს აქვს უფლებამოსილი აუდიტორის მიერ შედგენილი 2018 წლის 15 ოქტომბრის ასევე 2014 წლის 24 ნოემბრის დასკვნა, მატერიალური ფასეულობების ფლობის შესახებ, თუმცა ამ დასკვნებში არ არის მოცემული მოგება /ზარალის ანგარიშგება და საბალანსო ანგარიშება რაც უფრო მეტად გაგვიადვილებდა უსდ-ს ფინანსური მდგრადობის შეფასებას.

უსდ შემუშავებული აქვს ფინანსური და მატერიალური სამსახურის დებულება, რომელშიც განსაზღვრულია უსდ-ს ფინანსური და მატერილაური რესურსების სამსახურის საქმიანობის სფერო და მართვის პროცესი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უსდ-ს ბიუჯეტი;
- ინვენტარიზაციის აქტი;
- უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ შედგენილი დასკვნები
- ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის დებულება

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის აქტივობების შესაბამისად გაიწეროს დაგეგმილი ფინანსების დინამიკა წლების მიხედვით.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	ინგლისური ფილოლოგია	ქართული ენა	ფილოლოგიის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	25. 08. 2016 N 115
2	ბიზნესის ადმინისტრირება ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული ენა	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	25. 08. 2016 N 116
3	ბიზნესის ადმინისტრირება ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული ენა	ნა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი	120	აკრედიტებული	25. 08. 2016 N 117
4	სამართალი	ქართული ენა	სამართლის მაგისტრი	120	აკრედიტებული	14. 12. 2016 N 140
5	სტომატოლოგია	ქართული ენა	დიპლომირებული სტომატოლოგი	300	აკრედიტებული	25. 08. 2016 N 114